ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1431014

ნომერი: AR1240817

თარიღი : 29.07.2014

გაცემის თარიღი : 12.08.2014

გაცნობის თარიღი : 24.09.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სტანისლავსკი , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ემინი მამედოვი პ/ნ 01015001956
- თბილისი ნ.ქუმსიაშვილის ქ. N 1

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.06.2012 წ. #236360 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 14.04.2014 წ. #AR1212354 განცხადებით მომართა შპს „აქტექ”-ის დირექტორმა ემინი მამედოვმა და მოითხოვა 29.06.2012 წ. #236360 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის, საკადასტრო კოდისა და კონფიგურაციის შეცვლა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ 29.06.2012 წ. #236360 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ქალაქ თბილისში,

სტანისლავსკის ქუჩა №12–ში შერეული ფუნქციის მქონე ობიექტის ასაშენებლად დადგინდა სამშენებლოდ მიწისნაკვეთის გამოყენების პირობები. აქტი გაცემულ იქნა 2624 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით –01.13.05.003.068, ხოლო ამავე სამსახურის 02.08.2012 წ. #292655 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში. განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.13.05.003.083 2297 მ2), რომლის თანახმადაც საკადასტრო ერთეულის დაყოფის შედეგად შეცვლილია მიწის ნაკვეთის ფართობი, შეცვლილია საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, შესაბამისად სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.06.2012 წ. #236360 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.13.05.003.083; ფართობი 2297 კვ.მ.);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.06.2012 წ. #236360 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს - 2297 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს- #01.13.05.003.083;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.06.2012 წ. #236360 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და ამავე სამსახურის 02.08.2012 წ. #292655 ბრძანებასთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.